პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 მაისი, შაბათი, 1989 წ.
№ 90 (10 009) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## იმსჯელეს აქტუალურ პრობლემებზე

**გუშინ** გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები, სპორტსკოლების დირექტორები, უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის კათედრების გამგეები...

გულახდილად ითქვა იმ უამრავ პრობლემებზე, რომლებიც აფერხებს მომავალი თაობის ფიზიკურ განვითარებას. გამოითქვა რწმენა, რომ თუ თითოეული ჩვენგანი თავის პირად ამბიციებს გადადებს, თუ მოხდება კონსოლიდაცია, თუ საქმეს ვუერთგულებთ, ყველა საჭირბოროტო საკითხი გადაწყდება.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი მ. მნათობიშვილი.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გ. ენუქიძე, მინისტრის მოადგილე კ. სუჯაშვილი, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. მახარაძე.

## აპარია პოზნანის ქუჩაში

**ვარშავა.** მშვიდობის ველორბოლის მეოთხე ეტაპი (ვროცლავი-პოზნანი, 198 კილომეტრი) 20 წლის ბულგარელმა პაველ შუმანოვმა მოიგო, რომელმაც მანძილი 4 საათსა და 57 წამში გაიარა და ხუთი წამით აჯობა ბელგიელ დახი პეტერსს. ამ ეტაპზე მესამე ადგილი დასავლეთგერმანელმა დომინიკ კრიგერმა დაიკავა (გამარჯვებულს 11 წამით ჩამორჩა).

ფინიშამდე 7 კილომეტრით ადრე პოზნანის ერთ-ერთ ქუჩაზე ძირითად ჯგუფში რამდენიმე ველოსიპედისტი დაეცა. მათ შორის აღმოჩნდა ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვი, რომელმაც, მცირე ტრავმის მიუხედავად, განაგრძო რბოლა და საბოლოოდ საკონტროლო ხაზი მეათემ გადაკვეთა.

ოთხი ეტაპის შემდეგ ლიდერის მაისური შუმანოვს გადაეცა (13:59.13), აბდუჟაპაროვი მას 15 წამით ჩამორჩება და ჯერჯერობით მეხუთე ადგილზე იმყოფება. ვიქტორ კლიმოვს მეათე შედეგი აქვს, ასიატ საიტოვს კი მეცამეტე.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ ბულგარელი ველოსიპედისტები — 41:59.12. საბჭოთა ნაკრები, გფრ-ისა და ბელგიის გუნდების შემდეგ მეოთხე ადგილზე იმყოფება. ბულგარელებთან იგი 33 წამს აგებს.

## თამაში შედგება 17 მაისს

**როგორც** ცნობილია, სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1988-89 წლების გათამაშების მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამო" და მოსკოვის „სპარტაკი". ეს მატჩი თბილისში შედგება 17 მაისს.

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ მოსკოვის „სპარტაკის" ხელმძღვანელობას სურდა მატჩი სხვა დღეს ჩაეტარებინა, მაგრამ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ თამაშის დღედ 17 მაისი დაადასტურა, მატჩი შედგება თბილისში.

ამ მეოთხედფინალური წყვილის გამარჯვებული ნახევარფინალურ მატჩში 21 მაისს მიიღებს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს".

### ინფორმაცია

**ანკარაში** დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 18 ქვეყნის 106 წარმომადგენელი გამოვა.

საბჭოთა კავშირის ნაკრები სრული შემადგენლობით იასპარეზებს (გუნდში 10 სპორტსმენია). ჩვენი რესპუბლიკიდან ნაკრების მწვრთნელებმა მიიწვიეს გოჩა მაკოევი. ისევე როგორც ნაკრების წევრთა უმრავლესობა, მაკოევიც ამ რანგის შეჯიბრების დებიუტანტია.

ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში

## წინასწარი შეხვედრები

**ჰელსინკი.** ფინეთის დედაქალაქი მეორედ მასპინძლობს ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს. მაგრამ თუ 1978 წელს ასპარეზობაში მხოლოდ ვაჟები მონაწილეობდნენ, მიმდინარე ჩემპიონატში კონტინენტის უძლიერესი ძიუდოისტების მედლებს ქალებიც გაითამაშებენ.

ტურნირის პირველ დღეს ჩატარდა წინასწარი შეხვედრები ოთხ წონით კატეგორიაში. ქვემძიმეში (95 კგ), ევროპის 1987 წლის ჩემპიონმა, გორელმა კობა კურტანიძემ უკვე ორი შეხვედრა მოიგო: ჯერ ავსტრიელი მანფრედ რაიტერი დაამარცხა, მერე კი ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს, დასავლეთგერმანელ მარკ მაილინგს აჯობა.

ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს, აგრეთვე, ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა და სეულის ოლიმპიადის პრიზიორმა, ჩელიაბინსკელმა მძიმეწონოსანმა გრიგორი ვერიჩევმა (ლუქსემბურგელ იგორ მოლერთან და ბულგარელ დამედ სტოიკოვთან), გროზნოელმა ბაშირ ვარაევმა (78 კგ, იუგოსლაველ მილან დრაგიჩთან და ფრანგ ჟან-მიშელ ბერტიესთან), ნაკრების დებიუტანტმა, მოსკოველმა ვიტალი ბუდიუკინმა (86 კგ, პორტუგალიელ პედრო კრიშტოვანთან და ინგლისელ დენსაინ უაიტთან).

პირველი ჩემპიონები გამოვლინდებიან დღეს, 13 მაისს. 14 მაისს კი ტურნირი დამთავრდება.



**გაიმართა** კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები: „სინათლე" (თბილისი) — „მართვე" (თბილისი) 85:88 (43:52), 89:85 (43:40); ჭიათურა — „დინამო" (თბილისი) 54:76 (29:30), 66:54 (36:31), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — სპი (თბილისი) 89:94 (40:57), 122:100 (55:48), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 84:82 (46:39), 78:77 (44:42).

ამ მატჩების შესახებ დაწვრილებით ცნობებს გაზეთის შემდეგ ნომერში გამოვაქვეყნებთ.

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

## მორიგი მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გათამაშების ცხრილები

**პირველი ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპი (თბილისი) | 8 | 7 | 1 | 15 |
| ჭიათურა | 8 | 3 | 5 | 11 |
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 6 | 4 | 2 | 10 |
| „სინათლე" (თბ.) | 6 | 4 | 2 | 10 |
| „მართვე" (თბ.) | 6 | 3 | 3 | 9 |
| „დინამო" (თბ.) | 8 | 1 | 7 | 9 |
| ბათუმი | 6 | 2 | 4 | 8 |

**მეორე ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „აზოტი" (რუს.) | 6 | 3 | 3 | 9 |
| ქუთაისი | 6 | 3 | 3 | 9 |
| „შევარდენი" (თბ.) | 6 | 3 | 3 | 9 |
| უნივერსტ. (თბ.) | 4 | 4 | 0 | 8 |
| სსმი (სოხუმი) | 4 | 3 | 1 | 7 |
| სსი (თბილისი) | 6 | 0 | 6 | 6 |

## დღეს და ხვალ

**დღეს** და ხვალ თბილისის კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართება ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები:

„დინამო" (თბილისი) — „მართვე" (თბილისი). 13 მაისს — დასაწყისი 16 ს. 30 წთ, 14 მაისს — 11.00.

უნივერსიტეტი (თბილისი) — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი). 13 მაისს — 18.00, 14 მაისს —12.30

„სინათლე" (თბილისი) — სპი (თბილისი) 13 მაისს — 19.30, 14 მაისს — 14.00.

13 და 14 მაისს გაიმართება კიდევ ერთი მატჩი: ბათუმი-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი).

## ვინ დაიცავს ქეთევანს?

**თბილისელი** საერთაშორისო ოსტატი ქეთევან კახიანი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ნორჩი მოჭადრაკეა. მან შარშან წარმატებით იასპარეზა ქალთა საკავშირო ჩემპიონატში და მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. წლევანდელი სეზონი კახიანმა ტალინის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით დაიწყო. და აი, ახალი წარმატება — პირველი ადგილი გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის საკავშირო შესარჩევ ტურნირში.

იგი ჯერ ძალზე ახალგაზრდაა (ამას წინათ 17 შეუსრულდა) და ორ ასაკობრივ ჯგუფში შეუძლია გამოსვლა: 18 და 20 წლამდე. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ ეს გარემოება გახდებოდა მისთვის ამდენი გულისტკივილის მიზეზი.

განგაშის მაუწყებელი პირველი ნიშანი საკავშირო შესარჩევი ტურნირის დახურვისას გაისმა, როდესაც მთავარმა მსაჯმა კ. ზვორიკინამ სრულიად მოულოდნელად განაცხადა, რომ კახიანმა მთელ ტურნირში კი არ გაიმარჯვა, არამედ მოიგო მხოლოდ ის ნაწილი, რომლის შემადგენლობაშიც უმცროსი ასაკის მონაწილეები შედიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომმა გამომსვლელმა, ჭადრაკის სამმართველოს უფროსმა მწვრთნელმა რ. პილუნოვამ ტურნირი „ერთიანად და განუყოფელად" ცნო, გამარჯვებული კი უფლებამოსილად, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ორივე ასაკობრივ კატეგორიაში გამოვიდეს, ქეთევანი და მისი მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი შინ ცუდი წინათგრძნობით გულდამძიმებულნი ბრუნდებოდნენ.

და აკი, მათი წინათგრძნობა გამართლდა კიდეც. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის ქალთა კომისიამ (თავმჯდომარე ვ. ტიხომიროვა) მიიღო დადგენილება კახიანის მხოლოდ ერთ, 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ჩემპიონატზე გაგზავნის თაობაზე.

აქ გვინდა შემოგთავაზოთ მოკლე ინტერვიუ თავად ქეთევან კახიანთან, რომლის პირადი აზრითაც ჯერჯერობით არც ერთი ოფიციალური პირი არ დაინტერესებულა.

**— ქეთინო, ამ ორი მსოფლიო ჩემპიონატიდან რომელში ისურვებდი მონაწილეობას?**

— ორივეში მინდა ვითამაშო.

**—მაგრამ ისინი ხომ ერთმანეთის მიყოლებით ტარდება. არ გაგიჭირდება?**

— მაშინ „უფროსთა" ჩემპიონატში ვითამაშებ.

**— რატომ?**

— ამბობენ, რომ აქ გამარჯვებულს ქალთა მსოფლიო თასის გათამაშებაში დაუშვებენ. ეს კი, დამეთანხმებით, კარგი შანსია უძლიერეს მოჭადრაკეთა შორის მოსახვედრად.

**ლ. პოლნარიოვა,**
**საერთაშორისო ოსტატი.**

ლენინგრადი.

**რედაქციისაგან:** ვინ არის მართალი ამ კონფლიქტურ სიტუაციაში — ქეთევან კახიანი, რომელმაც თავისი არჩევანი 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზე შეაჩერა, თუ თანამდებობის პირები და საზოგადოებრიობის ვიწრო წრის ის წარმომადგენლები, რომლებიც შესარჩევი ტურნირების არასრულყოფილ სისტემებს იცავენ?

„სოვეტსკი სპორტი",
12 მაისი, 1989 წ.

* * *

**როგორც იცით, 11 მაისს გაიმართა საჭადრაკო საკავშირო ფედერაციის სხდომა. ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით საქართველოს სპორტსახკომის ჭადრაკისა და შაშის განყოფილების გამგეს, საერთაშორისო დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძეს, რომელმაც გვაცნობა, რომ ქეთევან კახიანი დაშვებულია 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობაზე.**

**რაც შეეხება 18 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაზე ნათია ჯანჯღავას მონაწილეობის საკითხს, ამას „ლელოს" უახლოეს ნომერში გაცნობებთ.**

თვალსაზრისი

## საით მიდის ოლიმპიური სპორტი?

**წიგნი, რომლის მასალათა ერთი ნაწილი საფუძვლად დაედო ჩვენს წერილს და ფაქტიურად წამაქეზა მის დასაწერად, მიმდინარე წლის 8 აპრილს მაჩუქა სულიერი და ფიზიკური ძალებით დამშვენებულმა, უპატიოსნესმა ფიზკულტურულმა მუშაკმა, ჩემმა ჭკვიანმა და ნიჭიერმა სტუდენტმა ნოდარ ჯანგირაშვილმა, 9 აპრილს კი, ვანდალებისაგან იცავდა რა უმწეო გოგონებს, მთავრობის სასახლის წინ დაასრულა თავისი ლამაზი სიცოცხლე.**

**ამ მცირე ნაშრომს მის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი, რედაქციას კი ვთხოვ ჰონორარი გადარიცხოს 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის მშენებლობის ფონდში.**

ეგრეთ წოდებული მაღალი მიღწევების სპორტს, წინათ დიდ სპორტს რომ ვუწოდებდით, უკანასკნელ ხანს მრავალი პრობლემა გაუჩნდა, რომელთა შორისაც ერთ-ერთი პირველთაგანი — კომერციალიზაცია გახლავთ. კომერციალიზაციის ალმურში გაეხვია ოლიმპიური სპორტიც, თანდათან კნინდება ოლიმპიადების მაღალი საკაცობრიო იდეალები, დეფორმაციას განიცდის მისი მიზანი; ასეთ სიტუაციაში ოლიმპიურ თემაზე წერა და ოლიმპიური კომიტეტის მრჩევლის როლში გამოსვლა იქნებ ვინმემ დონკიხოტობადაც ჩამითვალოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მსოფლიო სპორტული მოძრაობის აპოთეოზად მიჩნეული ამ თამაშების ზემოხსენებულმა მდგომარეობამ საბჭოთა ქვეყნის, და მასთან — საქართველოს სპორტული მოძრაობის სარკეც გაგვიმრუდა და დაგვაელამა — ისე დიდია მისი რეზონანსი. ასეთ დროს კი გაჩუმება არ ეგების. მაგრამ, მოდით, უფრო გამოკვეთილად ვთქვათ ჩვენი სათქმელი.

### 1. კუბერტენიდან სამარანჩამდე

**განახლებული** ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა ერთი ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოები შექმნა, რომელიც 1912 წელს ოლიმპიადის ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ოლიმპიური ჟიურის ეს დიდი ჯილდო მოწმობს, რომ კუბერტენის ნაწარმოები, რომელსაც „ოდა სპორტს" ეწოდება, ზედმიწევნით ასახავდა ოლიმპიური მოძრაობის უკეთილშობილეს იდეალებს. ავტორი ასე მიმართავს ოლიმპიურ სპორტს: „ჩვენს სულსა და სხეულს შენ უხვად ასაჩუქრებ სიცოცხლის სიხარულით.... შენ მიგვანიშნებ სწორ, პატიოსან გზას, რომელსაც ეძებენ ადამიანები ცხოვრებაში დასახული მიზნის განხორციელებისათვის... შენ გვირგვინით მხოლოდ მას ამკობ, ვინც გამარჯვებისათვის იბრძოდა პატიოსნად, გულახდილად, უანგაროდ, შენ უმწიკვლო ხარ, შენ მოითხოვ უმაღლეს ზნეობრიობას, სამართლიანობას, მორალურ სიწმინდეს, მოუსყიდველობას... არავითარ სტიმულატორებს, გამარჯვების წყურვილისა და გონიერი წვრთნის გარდა, არ სცნობ შენ..." მოდით, აქ შევწყვიტოთ სპორტული მოძრაობის ეს ქებათა-ქება, მისი კეთილშობილი მიზნების კუბერტენისეული დახასიათება და სეულის ოლიმპიადის შემდგომ გამოქვეყნებულ სხვადასხვა „ცნობარებსა" და სპეციფიკურ ლიტერატურაში ჩავიხედოთ. აი, მრავალთაგან ერთი ცნობა:

-იხ. მე-2 გვ.

# საით მიდის ოლიმპიური სპორტი?

(გაგრძელება)

სეულის XXIV თამაშებზე გამარჯვებულთათვის სხვადასხვა ქვეყნების მესვეურებმა ასეთი საზღაური დააწესეს:

სამხრეთ კორეამ — 100.000 დოლარი ერთდროული ჯილდო და პენსია სიკვდილამდე 830 დოლარის ოდენობით თვეში. და კიდევ, იგივე სამხრეთ კორეამ, მძლეოსნობაში გამარჯვებულისათვის ერთდროული ჯილდო თავისი სპორტსმენისთვის 137.000 დოლარამდე გაზარდა;

საუდის არაბეთმა დააწესა პენსია სიკვდილამდე, კარგი სამუშაო და უფასო განათლება;

მალაიზიამ — 30.000 დოლარი;

ბრაზილიამ — ერთი კილოგრამი ოქრო;

გფრ-მ — 15.000 მარკა;

საფრანგეთმა — 32.520 დოლარი;

ბულგარეთმა — 2000 ლევი, ავტომანქანა „ვოლგა“;

პოლონეთმა — 10.000 დოლარი;

სსრ კავშირმა — 12.000 მანეთი, აქედან 2000 მანეთი ვალუტით.

არც სხვა ქვეყნები დარჩნენ ვალში თავიანთი სპორტსმენების წინაშე, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი გულუხვობა მაინც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიჩინა.

მაშასადამე: „უანგაროდ ბრძოლის“ მოწოდებიდან — ფულად საჩუქარში გაჯიბრებამდე! აი, რითი დაიწყო თამაშები და რითი დამთავრდა, თუმცა დამთავრებამდე, როგორც ყველა სიმპტომი მოწმობს, ლაპარაკი ნაადრევია; როგორც ამბობენ, ბარსელონაში კიდევ უფრო მოიმატებს ფულადი საჩუქრის მაზანდა.

## 2. სიმართლეს ჩავხედოთ თვალებში!

**კარგია** ეს თუ ცუდი, ამაზე საუბარი წერილის ბოლოსათვის გადავდოთ, ახლა კი გავერკვეთ, რა ხდება: მთელი რიგი ქვეყნები, რომელთა სახელმწიფო ბანკების სალაროები ლატაკი კაცის ჯიბეს დაემსგავსა, რატომ იღებენ ასეთ მსხვერპლს? ან თვით საბჭოთა ქვეყნის სპორტის მესვეურებმა, რომლებმაც ყველა ჩვენგანზე უკეთ იციან ჩვენი ფინანსური და, განსაკუთრებით, სავალუტო ფონდის მდგომარეობა, რა მოსაზრებით წაბაძეს სხვა „ხელგაშლილ“ ქვეყნებს?

პირველ რიგში, გვერდს ვერ ავუვლით ერთ სტერეოტიპს, რაც ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის საერთო მავნე ატრიბუტებს განეკუთვნებოდა და რომელმაც ერთ-ერთი არსებითი როლი ითამაშა ჩვენი სულიერი ცხოვრების დეფორმაციაში. ცნობილი ფაქტია: ჩვენი ზემდგომი ორგანოების მიერ საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე წაგება ლამის სახელმწიფოს ღალატთან იყო გათანაბრებული. ვის არ ახსოვს — 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე ჩვენმა ფეხბურთელებმა იუგოსლავიასთან (რომელთანაც მაშინ ძალზე გაგვირთულდა პოლიტიკური ურთიერთობა) რომ წააგეს. ნაკრები გუნდის მთავარ ბირთვს „ცდკა“-ს ისე დაჰკრეს ურო, საცოდავმა სამ წელს ვერ აათრია წელი. მაშინ დამარცხებული საბჭოთა სპორტსმენი ფიქრობდა არა ძალთა მოკრებასა და რევანშზე, არამედ იმაზე, თუ როგორ დაძვრენოდა სპორტკომიტეტის რისხვას, რომელიც თავის მხრივ უფრო ზემოთ მდგომი ორგანოების წინაშე ძაგძაგებდა. ეს საერთო ავადმყოფური შიში იმითაც იყო განპირობებული, რომ მაშინ (და ნაწილობრივ ახლაც) გაბატონებული იყო აქსიომა: საერთაშორისო არენაზე გასულ საბჭოთა სპორტსმენს მეტი მოეთხოვება, ვიდრე „იმ დამპალი“ სამყაროს წარმომადგენლებს. მან თავისი გამარჯვებით შორს უნდა გაიტანოს და მსოფლიოს უჩვენოს საბჭოთა ქვეყნის როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიური, ისე ეკონომიკური წყობის უპირატესობა. ცოდვას ნუ ჩავიდენთ და ვთქვათ, რომ მაშინ ბევრი სპორტსმენი მართლაც გაჟღენთილი იყო ამ პათოსით, მაგრამ უფრო მეტი მხოლოდ სხვების დასანახად იზიარებდა მას ზუსტად ისე, როგორც ამას საყოველთაოდ გახმაურებული „ბამის“ მშენებლები სჩადიოდნენ: „ბამზე რომანტიკული გატაცების გამო ჩამოვედითო“, — დათქმულივით ერთხმად უცხადებდნენ ისინი ტელევიზიისა თუ პრესის წარმომადგენლებს და არცერთს არ უხსენებია, რომ ვიდრე ბამზე გამოემგზავრებოდნენ, მთავრობისაგან ჩაიბარეს ხელწერილები იმის თაობაზე, რომ მიიღებდნენ გაორმაგებულ ხელფასს, მოსკოვში ჩაწერის უფლებას, ბინასა და მანქანას ურიგოდ და ა. შ. დაახლოებით იგივე ხდებოდა სპორტულ სამყაროშიც. ეს ყოველივე უფრო აშკარა გახდა გარდაქმნის პერიოდში, როცა ხალხს და მათ შორის სპორტსმენებსაც მიეცათ გულში ნადების პირდაპირ თქმის უფლება. მოხდა უეცარი მეტამორფოზა: ხალხი, სამშობლო, მისი პრესტიჟის დაცვის გრძნობა მეორე პლანზე გადავიდა და მათი ადგილი ღია ანგარიშიანობამ დაიკავა. აქეთ მსოფლიო ჩემპიონი კასპაროვი ჩაუდგა კრიჭაში სპორტსახკომს — ჩემ კუთვნილ თანხას რატომ მიჭერო, იქით კალათბურთელმა სემიონოვამ ატეხა ყვირილი — მიშველეთ, ჩემი კუთვნილი თანხის მოცემას ვინ ჩივის, მშიერს მკლავს მშობლიური სპორტსახკომიო; ახლა ჩოგბურთელი ზვერევა ახმაურდა (და სამართლიანადაც, როგორც ყველა სხვა მისი კოლეგა სპორტში), ჩემი შემოსავლის ერთ პროცენტს რომ მაძლევთ, ნამუსი აღარ არის, გამიზარდეთ შემოსავალი 15 პროცენტამდე მაინც, მომბეზრდა მარტო სახელისთვის თამაშიო. თანაც მიანიშნებს: ერთი წლის მანძილზე 512 ათასი დოლარი შემოგივიდათ ჩემგან, მე კი კაპიკები გადმომიყარეთო. სახელოვანმა სერგეი ბუბკამ ადრე დაგმო კასპაროვის საქციელი, მაგრამ როცა იგივე საკუთარ თავზე გამოსცადა, მოიკრიბა გაბედულება — იაპონიის ერთ-ერთმა ფირმამ ჩემი რეკორდისათვის 30.000 დოლარი რომ გამომიყო, წამართვით და მხოლოდ 800 დოლარი მომიგდეთ, ეს როგორაა?! არა მგონია გული არ უდუღდეს ფეხბურთელ ხიდიატულინს, რომელსაც ყოველთვიურად 60.000 ფრანგულ ფრანკს უხდიან, სპორტსახკომი კი სპორტსმენს ამ თანხის მხოლოდ ათ პროცენტს აძლევს. როგორც უკანასკნელი პრესის მასალებით ირკვევა (ნახეთ თუნდაც „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ 30 აპრილის ნომერი), სპორტსახკომი თავს იმით ინუგეშებს, რომ რასაც ჩვენს უცხოეთში მოღვაწე სპორტსმენებს ვაძლევთ, იმითაც უზრუნველყოფილი იქნებათ ბედნიერი სიბერეო (ვაი, ჩვენი ბრალი!).

დიახ, ის კეთილსახსენებელი საბჭოური „პათოსი“ ზემოდან ჩამოკლეს სპორტსმენებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ადრე ერთი ნაწილი გულში იხვევდა ბოღმას, პოტენციურად კი წმინდა წყლის ოპოზიციონერი იყო. ნიმუშად მკითხველს მინდა მივაწოდო ერთი ფაქტი, რომელიც მოსკოველმა კოლეგებმა, ყოფილმა ჩოგბურთელებმა მიამბეს: იდგა 1936 წელი. დასასრულს უახლოვდებოდა ქვეყნის პირველობა ჩოგბურთში. ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მოსკოველი ბორის ნოვიკოვი და თბილისელი არჩილ მდივანი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, იმ ხანად რეპრესირებული ბუდუ მდივანის ვაჟი. წინა წლებში არჩილმა და თბილისელმა ედუარდ ნეგრებეცკიმ ტრიუმფით მოიარეს საფრანგეთი და საბჭოთა პრესასაც ქება-დიდება არ დაუკლია მათთვის, ქვეყნის დიდ პატრიოტებად ნათლავდა მათ. თამაში დაიწყო თუ არა, „დინამოს“ სტადიონის ცენტრალურ კორტს, სადაც ფინალი თამაშდებოდა, სამი ჩეკისტი მიადგა. მოიკითხეს მთავარი მსაჯი და არჩილ მდივნის დაპატიმრების ორდერი უჩვენეს. რა ექნათ, ტრიბუნებზე სამიათასამდე მაყურებელი იჯდა, ყველას თვალწინ როგორ განეხორციელებინათ ეს აქტი? მთავარმა მსაჯმა ურჩია: დაიცადეთ შეხვედრის დამთავრებამდე, ჩაიცვას და გასახდელიდან შეგიძლიათ უჩუმრად წაიყვანოთო. მაგრამ მოხდა არასასიამოვნო ამბავი: ბრძოლა კორტზე გამძაფრდა, უფრო მეტი, მდივანმა ზედიზედ მოიგო გადამწყვეტი პარტიის გეიმები და რამოდენიმე ბურთის აღების შემდეგ იგი უკვე გამარჯვებით დააგვირგვინებდა შეხვედრას.

— არა, ხალხის მტერი არ შეიძლება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდესო, — უთქვამთ მოსულთ, შესულან კორტზე, შეუწყვეტიათ თამაში და გამარჯვებას რომ ერთი ბურთის აღებაღა აკლდა, მდივანი მაშინ წაიყვანეს — ასე დღისით, მზისით, ხალხით სავსე მოედნიდან.

ცხადია, დღევანდელი თვალსაწიერიდან უფრო საეჭვო ხდება მდივანისა და მისი ბედის მქონე ახალგაზრდობის საბჭოური პათოსი, რაც უნდა საჯაროდ და დამაჯერებლად გამოემჟღავნებინათ იგი ხელმძღვანელთა წინაშე. მადლობა ღმერთს, დღეს იმას მაინც მივაღწიეთ, რომ ამ სიყალბით აღარ ვაცუცურაკებთ ერთმანეთს.

მაგრამ ამასთან ერთად დავსვათ მეორე კითხვაც: ბოლოს და ბოლოს, არის თუ არა სპორტი, მისი განვითარების დონე, საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გამოსვლა — ქვეყნის სოციალური თუ ეკონომიკური წყობის სიმტკიცისა და ძლიერების მაჩვენებელი? ავალაპარაკოთ ფაქტები და დავრწმუნდით, რომ ამ აქსიომამაც დიდი ხანია ჭირი მოგვჭამა. თავად განსაჯეთ: 1952 წლიდან, ერთი გამონაკლისის გარდა (1968 წ.), ჩვენმა ოლიმპიელებმა ყველა თამაში მოიგეს და სსრ კავშირმა განვითარებული სპორტული ქვეყნის არაოფიციალური ტიტული დაიმსახურა. და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენეული სოციალიზმი, უკვე ოფიციალურად მიღებული გამოთქმები რომ ვიხმაროთ, ბლეფი, ფიქცია და თავის მოტყუება ყოფილა. ეკონომიკური ძლიერებითა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიხედვით კი იმ ქვეყნებზე გაცილებით უკან ვდგევართ, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც იტყვიან, „თამაშ-თამაშა“ ვუგებთ. რაღა შორს წავიდეთ, მარტო საქართველომ (უფრო ზუსტად — მისმა 16-მა წარმომადგენელმა) სეულში ნაჩვენები შედეგებით უკან ჩამოიტოვა იაპონიის, ავსტრალიის, კანადის, ესპანეთის, შვეციის, მექსიკისა და სხვა ქვეყნების (სულ 108) ოლიმპიური დელეგაციები. რა ვქნათ, ძველებურად, შიზოფრენიკებივით ვამტკიცოთ, რომ საქართველოს ეკონომიკა იაპონიისაზე მაღლა დგას?

იქნებ ვინმემ სიტყვა შეგვაშველოს და თქვას: კარგით, ბატონო, ქვეყნის იდეოლოგია, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა, ვთქვათ, არაფერ შუაშია, მაგრამ იქნებ ჩვენი გამარჯვებები სპორტულ ასპარეზზე ჩავთვალოთ იმ ზრუნვის შედეგად, რასაც ჩვენში საბჭოთა ფიზკულტურისა და სპორტის მიმართ იჩენენ. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, და იქნებ მკრეხელობადაც ჩაგვეთვალოს — სპორტული მოძრაობისადმი ზრუნვაში შეეჯიბრო ქვეყანას, რომელსაც სამი მილიონი კეთილმოწყობილი საცურაო აუზი გააჩნია, შენ კი 2000-ის აშენებაც ძლივს მოახერხე.

დიახ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვიმარჯვებთ ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ როგორ და რის ფასად ვიმარჯვებთ, როგორც იტყვიან, „საკითხავი აი ეს არის!“.

## 3. მედლის მეორე მხარის მეტასტაზები

რაც დამღუპველი ილუზიებისაგან თავი გავინთავისუფლეთ, ვიწამეთ, რომ მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენში აღარ თამაშობს დიდი სპორტის წინსვლის საფუძვლის როლს, არ თამაშობს უბრალოდ იმის გამო, რომ იგი, როგორც ასეთი, აღარ არსებობს. არარსებულს კი რა როლის შესრულება შეუძლია? საუბედუროდ, ხშირად ძველი ინერციით ისევ თვალს ვუხვევთ ხელმძღვანელობას — სსრ კავშირში ფიზკულტურელთა რაოდენობამ ას მილიონს გადააჭარბა, საქართველოში კი ორ მილიონს მიუახლოვდაო, და ჩვენვე ვერ ვიკავებთ ღიმილს. კიდევ კარგი, ახლა სულ სხვანაირად უყურებენ ამ საკითხს — მივდივართ რეალობისკენ. და მაინც ქვეყნის სპორტსახკომს საერთაშორისო სპორტულ არენაზე თავის გამოჩენის სხვა უფრო რეალური და იოლი გზები გააჩნია: მის ხელთაა ოლიმპიური რეზერვების და სხვა სპორტული სკოლები, სტუდენტური სპორტი, ყავს მაღალი კლასის სპორტსმენების ორ-სამათასიანი ბირთვი, უზრუნველყოფს მას მაღალი სტიმულირებით, კარგი სპორტული ბაზებით, მაღალკვალიფიციური მწვრთნელებით და ჩამოგვაქვს ოქროს მედლები, რომლებიც არა თუ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბაზისის, არამედ მასობრივი სპორტის [illegible] შეიძლება ჩაითვალოს.

დიახ, პირველი და მთავარი, რასაც ფაქტობრივად ყველაფერი ეწირება — ოლიმპიადებში გამარჯვებული ქვეყნის სახელის დამკვიდრებაა.

ეს დიდი იდეალის ხორცშესხმა, მისი შენარჩუნება დიდძალ თანხას მოითხოვს. საზღვარგარეთული სპორტული ინვენტარის შეძენას საკმაო ვალუტა დასჭირდა, ინვენტაროდ და უდარბაზოდ დარჩენილი სკოლების უმრავლესობას კი მივუგდეთ ლოზუნგი: „საკუთარი ხელით დავამზადოთ პრიმიტიული სპორტული ინვენტარი!“ სპორტსმენთა და მწვრთნელთა იმ მოზრდილ ჯგუფს, რომელთა მხრებზეც უნდა გადასულიყო ოლიმპიადის გმირი ქვეყნის ტიტულის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მთელი სიმძიმე, სტიმულის სახით ასევე დიდი თანხა დასჭირდა (საშუალო სკოლების ფიზიკური კულტურის პედაგოგებს კი მხოლოდ პურის ფულად რომ ეყოფა, იმდენი ჯამაგირი განვუსაზღვრეთ), წინასაოლიმპიადოდ მომრავლებულ შეჯიბრებებში სპორტული კოლექტივების გაგზავნამ სპორტსახკომის სავალუტო ფონდი გაანახევრა (სკოლებისა და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისათვის კი სპეციალური ბრძანებები გამოვეცით — მინიმუმამდე დაეყვანათ შეჯიბრებების რაოდენობა, აქაოდა, თანხები აღარ გვყოფნისო).

და დაიწყო ვალუტის გაფაციცებული ძებნა, როცა ჩვენში ოდითგან ამორალურად მიჩნეულ მოვლენებზეც აღარ ვამბობდით უარს. პირველ ყოვლისა, ეს ეხება სპორტსმენთა გაყიდვას, ადრე ბურჟუაზიული საზოგადოების გარყვნა-გადაგვარების ერთ-ერთ მაჩვენებლად რომ მიგვაჩნდა. მე პირადად, ღმერთმა უწყის, რამდენი ფელეტონი გამომიქვეყნებია ბურჟუაზიული ქვეყნების სპორტსმენთა ყიდვა-გაყიდვაზე, ვცდილობდი ცრემლი მომედინა მკითხველისათვის, საცოდავად გაყიდული სპორტსმენის ბედის აღწერით. გავიდა ხანი და აღმოჩნდა, რომ ისინი სულაც არ ყოფილან უბედურნი. „იქ“ გაყიდულმა სპორტსმენმა ის მაინც იცის, რომ მიიღებს საკმაოდ დიდ თანხას, რომ იგი უზრუნველყოფილი იქნება სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობებით. სინამდვილეში გაყიდული და თავმოყვარეობაგაქექილი სწორედ ჩვენი სპორტსმენები აღმოჩნდნენ. ჩვენს მიერ გაყიდული სპორტსმენები თავიანთი საფასურის 2-3%-ს თუ იღებენ. ვინც ა. წ. 4 მაისს უყურა საკავშირო ტელევიზიის გადაცემას „არენას“, — დარწმუნდებოდა ამაში. მეტიც, თურმე საკავშირო სპორტსახკომს, რომელიღაც უცხოურ ფირმასთან ისე დაუდვია კონტრაქტი საბჭოთა ჩოგბურთელთა გუნდის გაყიდვაზე, რომ არცერთი ჩოგბურთელისთვის ამის თაობაზე არ უცნობებია. ეს უკვე მარტო გაყიდვა კი არა, დიაღაც, რომ პიროვნების სინდისნამუსის ფეხქვეშ გათელვაა.

**ავთანდილ ციბაძე,**
**პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

(დასასრული იქნება)

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

## „სკოლის დარბაზი დატბორილია“

**გაცნობებთ, რომ თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 28 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში — „სკოლის დარბაზი დატბორილია“ აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება.**

**სკოლის შენობა ძალიან ძველი და თითქმის ამორტიზებულია. ისედაც არასტანდარტული და მოუხერხებელი დარბაზის მიზნობრივად გამოყენებას, რომელიც თითქმის საბრდაფს წარმოადგენს, დამატებითი სიძნელეები შეუქმნა წლევანდელმა ხანგრძლივმა და უხვთოვლიანმა ზამთარმა. დარბაზი დაიტბორა თოვლის ინტენსიური დნობისაგან დაგროვილი გრუნტის წყლით. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად წყლის ამოშრობა გაჭიანურდა. ამჟამად მიღებულია ზომები არა მარტო დარბაზის, არამედ მარტივი ტიპის ღია სპორტული მოედნების კეთილმოწყობისათვის.**

**მ. ნოზაძე,**
**ხაჩხერის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.**

## მოკლედ

**სამტრედიის** საჭადრაკო კლუბში ჩატარდა სარაიონო ჩემპიონატები.

ქალთა შორის 7 შესაძლებლიდან 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს ოსტატობის კანდიდატებმა ინგა გაბუნიამ და ლელა ხუჭუამ. ორივე მოჭადრაკეს მიენიჭა პირველობა.

ვაჟებში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ოსტატობის კანდიდატ ევგენი ვასილიევს, რომელმაც 14 შესაძლებლიდან 12,5 ქულა მოაგროვა.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

# მშდ—ჯანმრთელობის საწინდარი

**პროფკავშირთა** სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭომ ცენტრალურ სტადიონზე ჩაატარა გუნდური პირველობა მშდ-ს ხუთჭიდში, რომლის პროგრამაში შედიოდა სირბილი 100 მეტრზე, კროსი 3000 მეტრზე (ვაჟებისათვის) და 2000 მეტრზე (ქალებისთვის), ხელყუმბარის ტყორცნა, ტყვიის სროლა და ცურვა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 87 ფიზკულტურული კოლექტივის 232 წარმომადგენელი, რომელთა ასაკი 16-დან 49 წლამდე იყო.

100 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი არავის დაუთმო სპორტკლუბ „ლოკომოტივის“ წარმომადგენელმა ზ. ჯიმშელეიშვილმა. მეორე ადგილზე გავიდა ამავე სპორტკლუბის წევრი ა. ბოჭორიშვილი. მესამეზე — სპორტკლუბ „კოლხიდას“ წარმომადგენელი ლ. ციბაძე. ქალთა შორის გაიმარჯვა ნ. ჰილვარიამ („ლოკომოტივი“), მეორე ადგილზეა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშა ლ. კავთელაშვილი. 3000 მეტრზე რბენაში პირველობა არავის დაუთმო ა. კვირიკაშვილმა („ლოკომოტივი“), მეორე იყო გ. ჯავაროვი („კოლხიდა“), მესამე — სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ მუშა მ. მეშველიანი.

არანაკლებ საინტერესო იყო ასპარეზობა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ტყვიის სროლაში. ამ სახეობაში აღსანიშნავია სატრაქტორო ქარხნის მუშის გ. დათიაშვილის ოსტატური გამოსვლა. მან ხუთი გასროლიდან 48 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები ავტოქარხნის და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშებმა ა. ლელაძემ და ა. ჩიბურდანიძემ გაიყვეს.

საბოლოო შედეგების მიხედვით საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: „ლოკომოტივი“ — 524 ქულა, „კოლხიდა“ — 510, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება — 427.

— მშდ მრავალჭიდში ჩატარებულმა საქალაქო შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში დაგეგმვის სისტემის შეცვლამ არსებითად გარდაქმნა კოლექტივებში მუშაობის სტილი და მეთოდები. ამიტომ სპორტსმენთა შედეგები გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინა წლებში, ეს კი ოპტიმისტურად განგვაწყობს სპორტსაზოგადოების მესვეურებს, — გვითხრა მთავარმა მსაჯმა ჯოკია კვიციანმა.

**თამაზ კოლხიძელი.**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**

ქუთაისი.



ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-90

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

### III ჯგუფი

**მსოფლიო** ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს თურქეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა შორის, რომელიც 10 მაისს შედგა სტამბოლში, საერთაშორისო საფეხბურთო წრეები დიდი ინტერესით მოელოდნენ. ჯგუფის ლიდერთა შეხვედრას ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა, მასპინძლებს წარმატების დიდი იმედი ჰქონდათ, ვინაიდან გამარჯვების შემთხვევაში ისინი მნიშვნელოვნად იუმჯობესებდნენ ფინალურ ტურნირში მოხვედრის შანსებს.

მატჩი ტელევიზიით ვიხილეთ. ეჭვი არაა, ეს იყო უკიდურესად დაძაბული, შეუპოვარი თამაში, თურქმა ფეხბურთელებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ ისინი ახლა ძალზე სახიფათო მეტოქეები არიან, მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა, რომ საბჭოთა ნაკრები მეტოქეზე ძლიერი იყო, მისი გამარჯვება არავის აეჭვებდა.

თურქებმა თავიანთ ძალებში დარწმუნებულებმა დაიწყეს თამაში, ერთხანს ისინი ინიციატივასაც ფლობდნენ, მაყურებლებით გაჭედილი სტადიონი ფანატიკურად მხარს უჭერდა თავის ფეხბურთელებს, მაგრამ პირველი 15-20 წუთის შემდეგ ნათელი გახდა, რომ სტუმრები ტექნიკური და ტაქტიკური თვალსაზრისითაც, საბრძოლო შემართებითაც ჯობდნენ მეტოქეს, საერთო უპირატესობამაც თანდათან მათს მხარეს გადაინაცვლა.

გოლი, რომელმაც მატჩის ბედი საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ გადაწყვიტა, 41-ე წუთზე გაიტანა მიხაილიჩენკომ. შესვენების შემდეგ მასპინძლები ბევრს ეცადნენ, თუმცა საერთო გარდატეხა თამაშში ვერ შეიტანეს, ეპიზოდურმა შეტევებმა კი მათ სასურველი შედეგი არ მოუტანა. ბოლო წუთებზე თურქი ფეხბურთელები მეტად სახიფათოდ უტევდნენ, მაგრამ მიხაილიჩენკოს ეს გოლი ერთადერთი და გადამწყვეტი აღმოჩნდა.

შესარჩევ ჯგუფში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| თურქეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 5 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 2 |
| ისლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| გდრ | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 2 |

სატურნირო ვითარება მესამე შესარჩევ ჯგუფში კვლავინდებურად დაძაბულია, თუმცა, სსრ კავშირის ნაკრებს მეტოქეებთან შედარებით შესამჩნევი უპირატესობა აქვს. ავსტრიელი ფეხბურთელები კვლავინდებურად ინარჩუნებენ ფინალის მეორე საგზურის მოპოვების შესაძლებლობას.

მალე გაიმართება ჯგუფის კიდევ ორი შეხვედრა. 17 მაისს გდრ-ის გუნდი მიიღებს ავსტრიელ ფეხბურთელებს, ხოლო 31 მაისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ისლანდიის გუნდები.

აქვე, სტამბოლში, წინა დღეს შედგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი თურქეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 (2 ბურთი გაიტანა კოლივანოვმა, ერთი — პიატნიცკიმ), საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა თბილისის დინამოელმა კ. ცხადაძემ.

სსრ კავშირისა და თურქ ფეხბურთელთა შესარჩევი მატჩის შემდეგ თავიანთი აზრი გამოთქვეს სპეციალისტებმა და მიმომხილველებმა. საბჭოთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა, რომ ამ გამარჯვებით ჩვენმა გუნდმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობა. მეტოქე ძლიერი იყო, თუმცა, გდრ-ის გუნდთან ორჯერ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ თურქმა ფეხბურთელებმა ზედმეტად ირწმუნეს თავიანთი შესაძლებლობანი, ისინი თამაშობდნენ აქტიურად, მაგრამ მეტოქის დასაძლევად ძალა არ ეყოთ.

თურქების მწვრთნელის ტინაზ ტირპანის კომენტარი მოკლე იყო: „ჩვენ გვჯეროდა გამარჯვებისა, მაგრამ მეტოქე აშკარად უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მაინც არ ვკარგავთ ფინალში მოხვედრის იმედს“.

სტამბოლის მატჩს ესწრებოდა ავსტრიის ნაკრების უფროსი მწვრთნელი იოზეფ ჰიკერსბერგერი. მან ასეთი აზრი გამოთქვა: „საბჭოთა ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს თავიანთი მაღალი საერთაშორისო კლასი, გუნდი კვლავინდებურად შესარჩევი ჯგუფის უმთავრესი ფავორიტია“.

წარსულის გამოჩენილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ბობი ჩარლტონმა, რომელიც აგრეთვე ესწრებოდა თამაშს, აღნიშნა საბჭოთა ფეხბურთელთა შესანიშნავი ფიზიკური მომზადება, მან განსაკუთრებით გამოჰყო ო. პროტასოვი და ა. ზავაროვი. სტამბოლის გაზეთ „ჰიურიეტის“ მიმომხილველი დოგან ქოლოლლუ აღნიშნავს საბჭოთა გუნდის კოლექტიურ თამაშს, მკაცრ სათამაშო დისციპლინას, ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ერთნაირი თავგამოდებით თამაშობენ დაცვაშიც და შეტევაშიც.

თურქეთის ცნობილ კლუბ „ფენერბახჩეში“ მუშაობს იუგოსლაველი მწვრთნელი ტოდორ ვესელინოვიჩი. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ნაკრები არა მარტო შესარჩევი ჯგუფის ფავორიტია, იგი იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც ერთ-ერთ უმთავრეს როლს შეასრულებს.

და, ბოლოს, მატჩის სანახავად სტამბოლში სპეციალურად ჩამოვიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი თურგუთ ოზალი. ასპარეზობის თაობაზე მანაც რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა, კერძოდ ის, რომ ტანმაღალ საბჭოთა მცველთა წინააღმდეგ თურქებს მეტწილად დაბალი გადაცემებით უნდა ემოქმედათ.

საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, ლუჟნი, გორლუკოვიჩი, კუზნეცოვი, ალეინიკოვი (კეტაშვილი), რაცი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი (ბოროდიუკი), დობროვოლსკი. მსაჯი მ. ვოტრო (საფრანგეთი).

### II ჯგუფი

სტოკჰოლმში ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და პოლონეთის გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს შვედებმა. შესარჩევ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-0 | 5 |
| შვეცია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 5 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-10 | 0 |

### VII ჯგუფი

ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე დიდი უპირატესობით ითამაშეს ლუქსემბურგის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 6 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-2 | 5 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 2 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-11 | 0 |

გაიმართა ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის ზონის სხვა მატჩები.

პარიზში **(V შესარჩევი ჯგუფი)**. საფრანგეთის ნაკრებმა ფრედ — 0:0 დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველებთან.

ფრანგებს ამ მატჩში მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, მაგრამ ამ პრინციპულ შეხვედრაშიც მ. პლატინის გუნდმა იმედი გაუცრუა თავის გულშემატკივრებს. V შესარჩევ ჯგუფში დღესდღეობით ასეთი მდგომარეობაა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 4 | 1 | 0 | 10-5 | 9 |
| იუგოსლავია | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 6 |
| საფრანგეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-3 | 3 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 1 | 4 | 4-13 | 1 |

• • •

ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების ზონაში ამერიკის ნაკრებმა ფენტონში მიიღო კოსტა-რიკის გუნდი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა-რიკა | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 4 |
| გვატემალა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 2 |

ჯერ არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებიათ სალვადორისა და გაერთიანებული სახელმწიფო ტრინიდადისა და ტობაგოს გუნდებს, რომლებიც შეჯიბრებაში მოგვიანებით ჩაებმებიან.

# „ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲡ“ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ

**10 მაისს** შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში შედგა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთის „ბარსელონა“ და იტალიის „სამპდორია“.

ესპანელმა ფეხბურთელებმა ძლიერად, სწრაფად და აგრესიულად ჩაატარეს მატჩი, მთელი თამაშის განმავლობაში მათ საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, რაც საბოლოოდ მეტოქის კარში გატანილი 2 „მშრალი“ ბურთით გამოიხატა.

პირველი გოლი იტალიელთა კარში სალინასმა გაიტანა მე-5 წუთზე, ხოლო მეორე — რეკარტემ მე-80 წუთზე. მართალია, „სამპდორიასაც“ ჰქონდა თავის მხრივ კონტრთამაში და სახიფათო მომენტები, მაგრამ „ბარსელონა“ ამ დღეს დაუძლეველი იყო.

ბერნის „ვანკდორფის“ სტადიონზე თავი მოიყარა 45 ათასმა მაყურებელმა, წესრიგს 1000-მდე პოლიციელი იცავდა. და, თუმცა, ტრიბუნებზე მრავლად იყვნენ როგორც ესპანეთიდან, ისე იტალიიდან ჩამოსული გულშემატკივრები, ინციდენტები არ მომხდარა. ტრიბუნაზე შესვლისას მაყურებლებს გულმოდგინედ ჩხრეკდნენ. ესპანელი და იტალიელი გულშემატკივრები ტრიბუნებზე ერთმანეთისგან საიმედოდ განაცალკევეს და, საერთოდ, სტადიონზე თავიდანვე ისეთი განწყობილება შეიქმნა, რომ ადმინისტრაცია და მართლწესრიგის დამცავი ორგანოები უდისციპლინობას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ. ამ პრევენტულმა ზომებმა კარგი შედეგი გამოიღო.

ევროპის საკლუბო გათამაშებათა სამივე ფინალში წლეულს იტალიის კლუბები გავიდნენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, „სამპდორიამ“ თასების მფლობელთა თასზე უკვე მარცხი განიცადა, უეფა-ს თასზე „ნაპოლიმ“ თავის მინდორზე მხოლოდ ანგარიშით 2:1 მოუგო პირველი მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტს“ და 24 მაისს ბარსელონაში სათამაშოა ჩემპიონთა თასის მატჩი იტალიის „მილანსა“ და რუმინეთის „სტიაუას“ შორის. ასე რომ, იტალიის გუნდებმა ფინალურ მატჩებში ჯერჯერობით წარმატებას ვერ მიაღწიეს.

ესპანეთის „ბარსელონა“ პირველი გუნდია, რომელმაც თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მესამედ მოიხვეჭა საპატიო პრიზი. ეს გუნდი თასების მფლობელთა თასს ფლობდა 1979 და 1982 წლებშიც.

# ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ: ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ—ᲒᲓᲠ

**დანიაში** დასასრულს მიუახლოვდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა (ასაკი 16 წლამდე) ევროპული ტურნირი.

ნახევარფინალებში პორტუგალიელებმა ანგარიშით 2:1 მოუგეს ესპანეთის ნაკრებს, ხოლო გდრ-ისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით — 3:0. ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან პორტუგალიისა და გდრ-ის გუნდები.

სსრ კავშირის ფეხბურთელები ნახევარფინალში ვერ მოხვდნენ. ჩვენმა გუნდმა ჯგუფურ ტურნირში იმდენივე ქულა დააგროვა, რაც გდრ-ის ნაკრებმა, მაგრამ უშუალო შეხვედრა წააგო მასთან.

**რიო-დე-ჟანეირო.** 100 ათასი მაყურებელი დაესწრო ბრაზილიისა და პერუს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩს. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა, ბურთები გაიტანეს ჩარლზმა (2), ბებეტომ და კარმომ. ეს ბრაზილიელთა რიგით მეოთხე გამარჯვებაა ამხანაგურ მატჩებში.

**ბერლინი.** გდრ-ის ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე ჩემპიონის წოდება გაინაღდა დრეზდენის „დინამომ“, რომელიც უკვე 8 ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეს.



**ნეაპოლი.** „ნაპოლიში“ მოთამაშე არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს ამ კლუბთან დაარღვიოს კონტრაქტი, რომლის ვადა 1993 წლამდეა. მარადონას სიტყვებით, იგი სათანადო მხარდაჭერას ვერ გრძნობს „ნაპოლის“ პრეზიდენტის კორადო ფერლაინოსგან, გარდა ამისა, ძალიან ცუდად გრძნობს თავს ხშირი ტრავმების გამო.

სულ ახლახან „ნაპოლი“ ჩემპიონატის მატჩში შეხვდა „ბოლონიას“. განაცხადში მარადონა ჩაწერილი იყო, მაგრამ ფეხის ტკივილის გამო მინდორზე არ გამოვიდა. სწორედ ამიტომ გამოთქვა მის მიმართ კრიტიკა კორადო ფერლაინომ.

# ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲤᲐᲙᲔᲢᲘ?

**ჯიაცინტო** ფაკეტი ცნობილი პიროვნებაა საერთაშორისო ფეხბურთში. ერთ დროს იგი მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო. იტალიის „ინტერის“ შემადგენლობაში 16 წლისამ დაიწყო თამაში და 36 წლამდე გამოდიოდა მინდორზე. ოთხჯერ იყო იტალიის ჩემპიონი, თავისი გუნდის შემადგენლობაში ორ-ორჯერ ფლობდა ევროპის ჩემპიონთა თასს და საკონტინენტთაშორისო თასს, 94 შეხვედრა ჩაატარა იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, 70 მატჩში იყო მისი კაპიტანი, 1968 წელს ევროპის ჩემპიონი იყო, ხოლო 1970 წელს — მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

ჟურნალისტებმა ჯ. ფაკეტის ჰკითხეს, რა არის უფრო მთავარი ფეხბურთში — თამაში თუ შედეგი?

— ჩემი აზრით, —უპასუხა ჯ. ფაკეტიმ. — მთავარია შედეგი. თუ შენ კარგად ითამაშე, მაგრამ წააგე, მაინც იტყვიან ცუდად ითამაშეო, მაგრამ თუ ცუდად ითამაშე და გაიმარჯვე, უსათუოდ იტყვიან, რომ კარგად ითამაშე და, ამასთან, მრავალ დადებით თვისებასაც გამოგიძებნიან. დამიჯერეთ, გამოცდილი კაცი ვარ: პირველ პლანზე ყოველთვის შედეგი დგას და, უკვე მერე, ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ამ გამარჯვებას მიაღწიე, გავა წლები, მერე აღარავის ეხსომება თუ როგორ თამაშობდი, გაიხსენებენ მხოლოდ იმას, გქონდა თუ არა მედლები.

# ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

**თბილისში** დამთავრდა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ფარვიზ ჭელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი I საკავშირო ტურნირი ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1978 წლებში დაბადებული ჭაბუკები: პანევეჟისის (ლიტვის სსრ), გორის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლისა და თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები.



პირველი ადგილი დაიკავა 35-ე სკოლის „მამულმა“ (გუნდს წვრთნიან ს. სირაძე და თ. თვალჭრელიძე). მეორე ადგილზე გავიდა ამავე სკოლის „ლილე“, მესამე საპრიზო ადგილი კი გორელ ჭაბუკებს ხვდათ წილად.

საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა ტურნირის ბოლო მატჩი „მამულსა“ და „ლილეს“ შორის. გადამწყვეტი და ერთადერთი გოლი „ლილეს“ კარში გაიტანა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიტალი დარასელიას ვაჟმა ვიტალიმ. გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი პრიზი გადასცა ამაგდარი მწვრთნელის მეუღლემ მერი ჭელიძე-გეგეჭკორმა.



ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც 15 გატანილი ბურთით სწორედ ვიტალი დარასელია გახდა. საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა დ. პეტრიაშვილს (ორივე — „მამული“), „ლილეს“ გუნდიდან სპეციალისტები აღნიშნავენ პაპუაშვილის, ყიფიანისა და ჯამასპიშვილის კარგ თამაშს, გორის საფეხბურთო სკოლიდან თავი ისახელეს რევაზიშვილმა და მერაბიშვილმა, ლიტველებიდან კი ჩეკანაუსკასისა და ბლინსტრუბასის თამაშმა დაიმსახურა მოწონება.

ასპარეზობაში მონაწილე ლიტველმა ფეხბურთელებმა ჩვენს დედაქალაქში ჩამოსვლისთანავე სურვილი გამოთქვეს, სწვეოდნენ რუსთაველის პროსპექტს, სადაც სამშობლოდან ჩამოტანილი ყვავილებით პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.

**სურათზე:** ვიტალი დარასელიას გადამწყვეტი ბურთი გააქვს მეტოქის კარში; გამარჯვებული თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის „მამული“.

გია ახალაძის ფოტოები.

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის VII და VIII ტურების შეხვედრები.

**„საპოვნელა" (თერჯოლა)— პოლ. ინსტ. (თბილისი) 0:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: ბარამიძე, კიურჯიევი (პოლ. ინსტ).

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მზიური" (გალი) 0:0. მსაჯი ზ. მილჩენკო (სოხუმი).**

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „დინამო" (ზუგდიდი) 3:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: იონანიძე, ჯანაშია, ფესტვენიძე („შადრევანი").

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ბ. შავგულიძე („შადრევანი").

**„დინამო" (გაგრა) — „სულორი" (ვანი) 4:2. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა).** გოლები: გოგიშვილი, ქაშიბაძე-2, დგებუაძე („დინამო"), დვალიშვილი-2 („სულორი").

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „არაგვი" (დუშეთი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: მიხაილოვი, დოგუზოვი („სპარტაკი").

**„სიონი" (ბოლნისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 5:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).** გოლები: ქობულაძე, ლაზარევი-2, მოსეშვილი-2 („სიონი"). სანადირაძე („დურუჯი").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 2:1. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი).** გოლები: ბენდელიანი, გოგუა („სამეგრელო"). მამულაშვილი (ფიზკ. ინსტ.).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზ. თიგიშვილი (ფიზკ. ინსტ.).

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „არმაზი" (მცხეთა) 1:0. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).** გოლი: ფრუიძე („მეტალურგი").

**„მაღაროელი" (ჭიათურა) — „ივერია" (ხაშური) 4:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: გოგსაძე-2, ღვალაძე, ტეფნაძე („მაღაროელი"), ქიმერიძე („ივერია").

**„სქური" (წალენჯიხა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 4:1. მსაჯი ი. კახიანი (სამტრედია).**

**პოლ. ინსტ. (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:2. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: გუჯაბიძე, მაღრაძე, ბარამიძე (პოლ. ინსტ.). მარგიევი, ჯიოევი („სპარტაკი").

მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს გ. ზეიაგინცევი, უხეში თამაშისთვის ი. ჯიოევი და ა. დოგუზოვი (სამივე — „სპარტაკი"), ასევე უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. ვიბლიანი (პოლ. ინსტ.).

**„მზიური" (გალი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 3:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: ყოლბაია, მორგოშია, ჩხეტია („მზიური"), ბაბილაშვილი („ბახტრიონი").

**„ივერია" (ხაშური) — „სქური" (წალენჯიხა) 3:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: მაზმიშვილი, ქიმერიძე, თევზაძე („ივერია"), მატუა („სქური").

**„არმაზი" (მცხეთა) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

**ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:3. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: მამუკაშვილი (ფიზკ. ინსტ.), ფრუიძე, მესხი, ჯულელი („მეტალურგი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 3:0. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).** გოლები: ბოჭორიშვილი, ქარენაშვილი-2 („დურუჯი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს პ. ეპიტაშვილი („დურუჯი").

**„არაგვი" (დუშეთი) — „სიონი" (ბოლნისი) 2:1. მსაჯი ვ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: მოსიაშვილი, ჯაბნიაშვილი, („არაგვი"), ტყავაძე („სიონი").

**„სულორი" (ვანი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:0, მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლი: კაპანაძე („სულორი").

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„მეტალისტი" — „გარისი" 1:1, „ჰერეთი" — „შირაქი" 7:2, „მიონი" — „კოლმეურნე" 2:5, „თრიალეთი" — სსი-„მუხრანი" 1:0, „ალგეთი" — „განთიადი" 1:1, „ალაზანი" — თსუ 1:1.

გარდაბანში სათამაშოდ არ გამოცხადნენ ქიზიყელი ფეხბურთელები, რესპუბლიკის ფეხბურთის სამმართველო, მომხდარი ფაქტის გამო, პასუხს ელის სიღნაღის სპორტკომიტეტიდან.

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

„მესხეთი" — „ფარვანა" 7:1, „ჩხერიმელა" — „იბერია" 1:0, „თორი" — „ქართლი" 1:1, „ვარძია" — „მეშახტე" 3:0.

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ნარინჯი" — „ბეთლემი" 4:3, „იმერეთი" — „ეგრისი" 2:1, „დვაბზუ" — „სალხინო" 3:2, „დარჩელი" — „მენავთობე" 7:3, „ბახმარო" — „მშენებელი" 4:2, „ოდიში" — „ხვამლი" 5:0, პოლ. ინსტ. ქუთაისი — „ზანა" 1:0, „ჩიბათი" — „მეშახტე" 2:0.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 13 მაისისთვის.**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი" | 7 | 4 | 3 | 0 | 12-4 | 11 |
| „სპარტაკი" | 7 | 4 | 2 | 1 | 14-5 | 10 |
| „შადრევანი" | 6 | 3 | 3 | 0 | 9-3 | 9 |
| „მეტალურგი" | 7 | 3 | 3 | 1 | 8-4 | 9 |
| პოლ. ინსტ. (თბ). | 5 | 3 | 2 | 0 | 14-6 | 8 |
| „მზიური" | 6 | 2 | 4 | 0 | 8-4 | 8 |
| „სამეგრელო" | 7 | 3 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| „ამირანი" | 5 | 2 | 3 | 0 | 8-3 | 7 |
| „სიონი" | 7 | 3 | 0 | 4 | 11-11 | 6 |
| „საპოვნელა" | 7 | 3 | 0 | 4 | 8-8 | 6 |
| „სულორი" | 6 | 2 | 2 | 2 | 9-9 | 6 |
| „სქური" | 7 | 2 | 2 | 3 | 8-10 | 6 |
| „დინამო" ზ. | 5 | 2 | 1 | 2 | 11-8 | 5 |
| „დინამო" გ. | 5 | 2 | 1 | 2 | 11-14 | 5 |
| „დურუჯი" | 6 | 2 | 1 | 3 | 8-13 | 5 |
| „არაგვი" | 7 | 2 | 1 | 4 | 7-13 | 5 |
| ფიზკ. ინსტ. თბ. | 6 | 2 | 0 | 4 | 9-13 | 4 |
| „არმაზი" | 6 | 1 | 2 | 3 | 3-6 | 4 |
| „ივერია" | 7 | 1 | 2 | 4 | 9-14 | 4 |
| „ბახტრიონი" | 7 | 0 | 1 | 6 | 6-22 | 1 |

## კანჩენჯანგაზე

**მსოფლიო** მთამსვლელობის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც მაისის პირველ რიცხვებში ჰიმალაიში ორ ჯგუფად მოახდინეს რვაათასიანი მთის მასივის კანჩენჯანგას ოთხივე მწვერვალის სრული ტრავერსი. ეს ცნობა გადასცეს თავიანთ გაზეთებს ქ. კატმანდუში აკრედიტებულმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჟურნალისტებმა. ამ დღეებში მამაც ალპინისტებს მიიღებს ნეპალის პრემიერ-მინისტრი.

ჯგუფებმა, რომლებშიც შედიოდა 5-5 ალპინისტი ევერესტის დამპყრობ ხარკოველ სერგეი ბერშოვისა და ლენინგრადელ ალექსეი ელაგინის მეთაურობით, შემხვედრი ტრავერსით, მკაცრ მეტეოროლოგიურ პირობებში დალაშქრეს ეს ურთულესი მასივი.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მე-19 ტირაჟების შედეგები, რომლებიც 1989 წლის 7 მაისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან.** ტირაჟში დაშვებულია 1.406.317 ვარიანტი. ექვსი ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (42) მოგება 1.379 მანეთია, 4 ნომრისთვის (2.300) — 27 მანეთი, 3 ნომრისთვის (30.305) — 3 მანეთი.

საქართველოში: 6-0, 5-0, 4-32, 3-577.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 14.420.958 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (8) მოგება 10.000 მანეთია, 4 ნომრისთვის (4.057) — 182 მანეთი, 3 ნომრისთვის (167.828) — 8 მანეთი.

საქართველოში: 5-1 (თბილისი), 4-113, 3-4.894.

## „სპორტპროგნოზი"

**მე-19 ტირაჟის შედეგები**
**(6-9 მაისი)**

1-X, 2-X, 3-1, 4-X, 5-2, 6-X 7-1, 8-1, 9-1, 10-X, 11-1, 12-2, 13-X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## პრიზიორები ერთი სკოლიდან

**ყოველწლიურად** უამრავი ნორჩი კლასიკური სტილის მოჭიდავე იკრიბება მარშალ ბაგრამიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ტურნირზე. ამჯერადაც ერევანში, სადაც ეს ასპარეზობა გაიმართა, ჩვენი ქვეყნის 20 ქალაქის 250 მოჭიდავე ცდიდა ძალას.

ტურნირზე გამოდიოდნენ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის (დირექტორი ალეკო გიორგობიანი) ფალავნებიც, რომელთაგანაც რამდენიმემ დიდ წარმატებას მიაღწია.

შესანიშნავად ჩაატარა შეხვედრები თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლემ ზაზა სილაგაძემ და ჩემპიონობა მოიპოვა 83 კგ წონით კატეგორიაში. მას არ ჩამორჩა 107-ე სკოლელი ფირან კაპანაძე, რომელიც აგრეთვე ჩემპიონი გახდა, ოღონდ — 95 კგ წონაში.

შეჯიბრებაში 1972-73 წელს დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, თუმცა მათ შორის უმცროსებიც ერია, შოთა ღაღაშვილმა (50-ე სკოლა), რომელიც 1974 წელს არის დაბადებული, ზედიზედ ხუთი შეხვედრა წმინდად მოიგო, ფინალში კი დამარცხდა და საბოლოოდ მე-2 ადგილზე გავიდა 43 კგ წონაში. მესამე ადგილები დაიკავეს შალვა იმხანიშვილმა (60 კგ, 94-ე სკოლა) და შოთა ბენდუქიძემ (83 კგ, 130-ე სკოლა). ყველა ზემოჩამოთვლილ მოჭიდავეს, რომლებიც რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებში ირიცხებიან, ვაზგენ ფახლევანიანი ავარჯიშებს.

## თამაზ გიორგაძე გამარჯვებულთა შორის

**ესპანეთის** ქალაქ სალამანკაში გაიმართა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდოსტატები — თამაზ გიორგაძე, სერგეი კუდრინი (აშშ) და მანუელ რივასი (ესპანეთი), 7 საერთაშორისო ოსტატი და უნგრელი დები ჟუჟა და იუდიტ პოლგარები.

ისე მოხდა, რომ პირველი სამი ადგილი 7,5-7,5 ქულით სწორედ დიდოსტატებმა გაიყვეს. მეოთხე შედეგი ჰქონდა ჟუჟა პოლგარს, რომელიც ნახევარი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულებს. ერთობ უფერულად ითამაშა იუდიტ პოლგარმა, რომელიც ბოლო, XII ადგილზე გავიდა. როგორც იცით, ამ ბოლო ხანებში მთელი საჭადრაკო სამყარო პოლგარების უმცროს დაზე, 12 წლის იუდიტზე ლაპარაკობს. მისმა ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მართლაც ყველა რეკორდს გადააჭარბა, საერთაშორისო რანგ-ლისტში მან თვით მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძესაც გაუსწრო. ასე რომ, სალამანკას ტურნირში უნიჭიერესი გოგონას „ჩავარდნა" მართლაც მოულოდნელია.



თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 10 მაისი.

## სსრ კავშირის თასის გათამაშება რაგბიში: მერვედფინალი

**„ელმავალი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 13:20 (9:13).**

**„ელმავალი": ნატროშვილი, ვაშაძე, კლდიაშვილი, ჰეიშვილი, მანთიძე; საცერაძე, გაბრიჩიძე, გაგნიძე, ქ. გიუნაშვილი, ბაკურაძე, მონიავა, მექვაბიშვილი (რაფავა, 67), ხუადე, ჯაფარაშვილი (შუბითიძე, 49), გ. გიუნაშვილი.**

**„ლოკომოტივი". რომანოვი, რუდენკო, კოსტიუკი, ბარანკოვი (ჩერევიშნი, 76), კირიუხინი, ბუგროვი, დანილოვი, ნეხოროშევი, მალიკოვი, კარპუშენკო (გრიშინი, 61), მოხიაკოვი (კუზნეცოვი, 76), კაშია (ივანოვი, 61), პლოტნიკოვი, შარკოვი, სოკოლოვი.**

**მსაჯი — ზენონას ბელიცკასი (ლიტვა).**

**გოლები: „ელმავალი" — 2 ლელო (24, ჰეიშვილი, 84, ჭგუფური), საჯარიმო (11) და გარდასახვა (25): საცერაძე, „ლოკომოტივი" — 2 ლელო (3, კირიუხინი; 80, რუდენკო), 2 საჯარიმო (7,27) და 2 არეკნი (20,45), ბუგროვი.**

თბილისელ და მოსკოველ რაგბისტელთა თამაში, ტრადიციულად, შინაარსიანი და სანახაობრივად მიმზიდველი გამოდგა. უშეღავათო ბრძოლაში გაიმარჯვა გუნდმა, რომელმაც ამ დღეს უდავოდ უკეთ ითამაშა და რაგბის თითქმის ყველა კომპონენტში აჯობა მეტოქეს.

სამიოდე კვირის წინ ჩემპიონატის მატჩში „ელმავალმა" მოსკოვში დამაჯერებლად მოუგო „ლოკომოტივს". ამიტომ იყო, სათასო შეხვედრაში მოსკოველებს სამაგიეროს გადახდა რომ სურდათ. სტუმრებმა საწადელი აისრულეს. მეტიც, მათმა მორკინალებმა „ელმავალი" თითქმის უბურთოდ დატოვეს, ვინაიდან პირწმინდად (25:9) მოიგეს აუტიდან მოწოდებული ბურთისთვის ბრძოლა და იერიშების შეფერხების შემდეგაც მოლებსა და ზედახორებში თბილისელებზე მარჯვედ ითამაშეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბუგროვის დიდოსტატური დარტყმები კარში, თვალში საცემი იყო აგრეთვე სტუმართა სამმეოთხედელების რიგიანი ტექნიკა და ბურთის ხელით გათამაშება.

სამართლიანობა მოითხოვს, ლამაზი თამაშისათვის ქება თბილისელებსაც მივაგოთ, თუმცა ამ დღეს მათ გვარიანად აებნათ თავგზა. ამ მატჩში „ელმავალმა" კვლავ (წელს უკვე მერამდენედ!) იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ ჯიუტად და ამაოდ ეცადა მასზე ლონიერი და ზორბა მეტოქის ძალით ჯობნას: გუნდმა ორივე ტაიმში „ლოკომოტივის" კარის ხაზიდან ხუთ მეტრში ზედიზედ დანიშნული შერკინებების შემდეგ გ. გიუნაშვილის წინამძღოლობით თავგანწირული, უანგარო, მაგრამ ერთფეროვანი და მეტოქისათვის იოლად ამოსაცნობი იერიშები წამოიწყო, და ვერაფერს გახდა. სამაგიეროდ, საკმარისი იყო საცერაძესა და ჰეიშვილს თითოჯერ მოხდენილად ეთამაშათ, მეტოქე სასწაულად გადაურჩა ლელოს. აქედან ერთი რამ შეიძლება დავასკვნათ: საკუთარი სტილის უარყოფასა და სხვისის ბრმად გადმოღებას, თუნდაც ეს სხვა მძლეთამძლე იყოს, არავისთვის დაუყრია ხეირი!

**სსრ კავშირის ჩემპიონატი: უმაღლესი ლიგა.**

VIII ტური. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" 12:19, სსა (მონინო) — „ფილი" (მოსკოვი) 22:16.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 13 მაისისათვის**

| | თ. | შ. | ს. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „აია" (ქ) | 6 | 4 | 2 | 5 | 1 | 0 | 11 |
| სსა | 6 | 3 | 3 | 5 | 0 | 1 | 10 |
| „ლოკომ." | 8 | 3 | 5 | 5 | 0 | 3 | 10 |
| „ფილი" | 7 | 2 | 5 | 4 | 1 | 2 | 9 |
| ეტს (კრ) | 7 | 2 | 5 | 4 | 0 | 3 | 8 |
| „ავ." (კ) | 8 | 5 | 3 | 4 | 0 | 4 | 8 |
| „ელ." (ტირ) | 8 | 7 | 1 | 4 | 0 | 4 | 8 |
| ასკ (ა-ა) | 7 | 4 | 3 | 3 | 0 | 4 | 6 |
| „სლავა" | 8 | 2 | 6 | 3 | 0 | 5 | 6 |
| „ელმავ." | 5 | 2 | 3 | 2 | 1 | 2 | 5 |
| „ზვ." (ტაშ) | 8 | 7 | 1 | 2 | 1 | 5 | 5 |
| „სპარტ." | 8 | 2 | 6 | 0 | 0 | 8 | 0 |

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ბაზაზე ჩამოყალიბებული კოოპერატივი „კოლხიდა" მომხმარებლებს სთავაზობს თანამედროვე ტიპის სპორტულ ტრენაჟორთა კომპლექტებს, რომლებზედაც შეიძლება ერთდროულად ივარჯიშოს ოცმა ადამიანმა. ტრენაჟორთა განსალაგებლად საკმარისია 60 კვადრატული მეტრი ფართი.

შეძენა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე.

დაწვრილებით ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ მისამართზე: 384009. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. № 39.

**თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული ბავშვთა და მოზარდთა საციგურაო სპორტული სკოლის დირექცია აცხადებს**

1983-84 წლებში დაბადებული გოგოებისა და 1982-83-84 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას. განცხადებები მიიღება 10 საათიდან 19 საათამდე — ყოველდღე, გარდა კვირისა, 15 მაისიდან 15 ივნისამდე.

მშობლებმა უნდა წარმოადგინონ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი და ცნობა მოზარდის ჯანმრთელობის შესახებ.

სკოლის მისამართია: თბილისი, ლენინის ქ. № 75-ა (სპორტის სასახლის გვერდით).

ცნობების მიღება შეიძლება აგრეთვე ტელეფონით: 38-65-00, 38-94-75.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-53,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მარჯვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 358